გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამუკა ფანიაშვილის 2022 წლის 1 ნოემბერიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: **გორის მუნიციპალიტეტი**

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **მამუკა ფანიაშვილი**

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: **ფრაქცია „გორი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე**

ფრაქციის წევრობა: **,,გორის საქართველისთვის“ წევრი**

კომისიის (კომისიების) წევრობა: **სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.**

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): **პროპორციული წესით**

საანგარიშგებო პერიოდი: **2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე**

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი <u>მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 13 სხდომაში.</u>
2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა: <u>განვიხილეთ და გადაწყვეტილება მივიღეთ 277 საკითხზე</u>
3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:

არცერთ საკითხს, რომელიც ეხებოდა მერიის და საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის ხელფასების გაზრდას, საწვავის ლიმიტების გაზრდას, დაუსაბუთებლად თანამშრომელთა რიცხოვნობის გაზრდას, პირდაპირი წესით მუნიციპალური ქონების განკარგვას (გარდა სახელმწიფოსთვის გადაცემისა) 2023 ბიუჯეტის დაჩქარებული წესით განხილვას, მერიის სამსახურების/ააიპების დაუსაბუთებელ და გაუმართავ ანგარიშებს.

4. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:
   - დავესწარი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 4 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 18 საკითხის განხილვაში. საფინანსო-

საბიუჯეტო კომისიის 3 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 4 საკითხის განხილვაში.

5. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:
არცერთ საკითხს, რომელიც ეხებოდა მერიის და საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის ხელფასების გაზრდას, საწვავის ლიმიტების გაზრდას, დაუსაბუთებლად თანამშრომელთა რიცხოვნობის გაზრდას, პირდაპირი წესით მუნიციპალური ქონების განკარგვას (გარდა სახილმწიფოსთვის გადაცემისა) 2023 ბიუჯეტის დაჩქარებული წესით განხილვას, მერიის სამსახურების/ააიპების დაუსაბუთებელ და გაუმართავ ანგარიშებს.

6. ბიუროს სხდომებში მონაწილეობა:
   - დავესწარი საკრებულოს ბიუროს 14 სხდომას და 228 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.
7. ფრაქციის სხდომებში მონაწილეობა:
   - ვარ ფრაქცია „გორი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარე.
8. სხვა განხორციელებული საქმიანობები:
ვარ მუნიციპალიტეტთან არსებული გენდერული საბჭოს წევრი, მონაწილეობა მაქვს მიღებული საბჭოს დებულების და სამოქმედო გეგმის დოკუმენტის შემუშავებაში. ვარ საქართველოს თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა-ს) გამგეობის წევრი, ყოველთვის აქტიურად ვმონაწილეობ მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვანი საკითების განხილვაში.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდში ვგეგმავ აქტიური მონაწილეობა მივიღო ააიპების საქმიანობის დეტალურ შესწავლაში, ასევევ ადგილზე შევისწავლო და გადავამოწმო მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული მაშტაბური პროექტები.

მოსახლეობასთან შეხვედრები

ფრაქციის წევრებთან ერთად ჩავატარეთ რამდენიმე შეხვედრა მუნიციპილატიტეტის მოსახლეობასთან, მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების განხილვის მიზნით და ამის შესახებ დავაყენეთ საკითხი საკრებულოზე ან მივწერეთ მუნიციპალიტეტის მერს.

1. შევხდით გორის მუნიციპალიტეტის სოფლ ერგნეთის მოსახლეობას, მათთან ერთად გავეცანით ხილის კრეფის და დაბინავების პროცესს, მოვისმინეთ მათი პრობლემები და საპარლამენტო ტრიბუნიდან, ცენტრალურ დონეზე ვცდილობთ მოვაგვაროთ ხარვეზები ამ კუთხით.
2. შევხდით გორში წმნიდაწყლის დასახლებაში (ცხინვალის გზატკეცილის) მოსახლეობას და მოვისმინეთ მათი პრობლემები, მათი მხრიდან ძალიან კრიტიკულად დასახელდა საცობის და გადატვირთული მოძრაობის პრობლემა. ასევე ცხინვალის გზადკეცილზე მოუწისრიგებელი საკომუნიკაციო ჭების მდგომაროება, რის შესახებაც წერილობით მივმართეთ მერიას.
3. შეხვდით ვერხვების დასახლებაში, სუხიშვილის ქუჩის მაცხოვრებლებს, მათთან ერთად განვიხილეთ დაზიანებული საკანალიზაციო სისტემები და წყლის მიწოდების პრობლემა, ამის შესახებ საკრებულოს სხდომაზე მივმართეთ მერიის წარმომადგენელს.
4. შევხდით ყოფილი ბაზრის ტერიტრიაზე მყოფ მოსახლეობას, რომლებმაც გამოხატეს პროსტესტი იმ ფაქტთან დაკავშირებით რომ მეიჯარე ღამით კეტავს მიწისქვეშა გადასასვლეს და მოსახლეობას უწევს ფეხით გადასვლა საკმაოდ ფართო ქუჩაზე, ქუჩაზე რომელზეც ძალიან ბევრია ავტოსაგზაო შემთხვევა.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამუკა ფანიაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

2023 წლის 25 ოქტომბერი

ქ.გორი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარე: დავით რაზმაძე

საკრებულოს წევრები: მერაბ გოხელაშვილი და მაია ბოლაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ცენტრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის მამუკა ფანიაშვილის 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მამუკა ფანიაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მამუკა ფანიაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც

თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მამუკა ფანიაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: მერაბ გოხელაშვილმა, მაია ბოლაშვილმა და ირმა კერესელიძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: დავით რაზმაძე

საკრებულოს წევრი: მამუკა ფანიაშვილი